არმატურის ღეროებისა და ბადეების საპროექტო განლაგება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამჭერი მოწყობილობების, ფიქსატორების ქვესადგამების სწორი



დაეყენებოთ. აკრძალულია არმატურის გადანატრების ხის ძელაკებისა და ღორღის ქვესადებების გამოყენება.

აწყობილი არმატურის, აგრეთვე შენადული პირაპირული შეერთების მიღება უნდა ხორციელდებოდეს ბეტონის ჩაწობამდე და გაფორმდებოდეს სათანადო ფარული სამუშაოების აქტით.

უშუალოდ დაბეტონების წინ დამატებით უნდა შემოწმდეს ყალიბისა და მისი დამჭერი კონსტრუქციის დაყენებისა და დამაგრების სისწორე, ის უნდა გაიწმინდოს ნაგავისა და ჭუჭყისაგან, ხოლო არმატურა-ჟანგის ფიფქისაგან.

დამონტაჟებული და დაბეტონებისათვის დამზადებული ყალიბები მიღებული უნდა იქნეს აქტით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების დასაშვები დროის და შესაბამისად სიშორის განსაზღვრას. აგრეთვე სამუშაოების წარმოების თავისებურებებს ცხელ და მშრალ ამინდში ბეტონის ნარევის მოთხოვნილი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

ტრანსპორტირების გამოსაყენებელი ხერხი უნდა გამოირიცხავდეს ბეტონის ნარევში ატმოსფერული ნალექების მოხვედრის, ნარევის ერთგვაროვნების დარღვევის, ცემენტის დუღაბის დანაკარგების შესაძლებლობას, აგრეთვე უზრუნველყოფდეს ნარევის დაცვას გზაში ქარისა და მზის სხივების მავნე მოქმედებისაგან.

ბეტონის ტრანსპორტირებისათვის უნდა გამოვიყენოთ ავტობეტონმრეველები.

ბეტონის ნარევი დასაბეტონებელ კონსტრუქციაში უნდა იწყობოდეს ერთნაირი სისქის ჰორიზონტალურ განუწყვეტელ შრეებად.

ბეტონის ნარევის ჩაწობის სისქე დამოკიდებულია სატკეპნ საშუალებებზე (ვიბრატორი). ჩაწობის შრის უდიდესი სისქე ხელის სიღრმითი ვიბრატორების გამოყენების დროს არ უნდა აღემატებოდეს ვიბრატორის მუშა ნაწილის 1.25 სიგრძეს. ამასთან სიღრმითი ვიბრატორის გადაგმის ბიჯი არ უნდა აღემატებოდეს მათი მოქმედების 1.5 რადიუსს. ბეტონის ნარევში სიღრმითი ვიბრატორის ჩაფვლის სიღრმე უნდა უზრუნველყოფდეს ადრე დაგებულ შრეში 5-10 სმ-ით ჩაღრმავებას.

ბეტონის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი.

ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციის დაბეტონების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბეტონის ზედაპირის საწყის და შემდგომ მოვლას.

ბეტონის ზედაპირზე მისი ჩაწობის შემდეგ პლასტიკური ჯდომისაგან ბზარების გაჩენის დროს, ბეტონის ჩაწობის დამთავრებიდან არაუგვიანეს ერთი საათის შემდეგ დასაშვებია მისი განმეორებითი ზედაპირული ვიბრაცია.

ბეტონის საწყისი მოვლა უნდა იწყებოდეს მაშინვე, რაც მდგომარეობს ჩაწობილი ბეტონის დაცვაში მზის რადიაციისა და ქარის მავნე გავლენებისაგან. საწყისი მოვლის დროს დაუშვებელია გამყარებული ბეტონის კონტაქტი წყალთან. საწყისი მოვლის ხანგრძლივობა უნდა განისაზღვროს იმ დროით, რომლის განმავლობაშიც ბეტონი ღებულობს საწყის სიმკვრივეს არანაკლებ 5 კგ/სმ<sup>3</sup>-ისა.

ბეტონის შემდგომი მოვლა ითვალისწინებს გამყარების პირობების უზრუნველყოფას ტენვადი საფარის მეშვეობით და მისი სისტემატური დატენიანებით, ბეტონის ღია ზედაპირების წყლის ქვეშ დაყოვნებით.

ბეტონის შემდგომი მოვლა უნდა გრძელდებოდეს იმ დრომდე, სანამ ბეტონი არ მიაღწევს საპროექტო სიმკვრივის 70%-ს

ტენვადი მასალების საფარების, აგრეთვე ხის ყალიბების მორწყვა უნდა წარმოებდეს იმ

სიხშირით, რომ ბეტონის ზედაპირი მისი მოვლის პერიოდში მუდამ იყოს ტენიანი.

გამყარებადი ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციების ღია ზედაპირების პერიოდული მორწყვა დაუშვებელია.

დატენიანების ნაცვლად კონსტრუქციების ზედაპირები შეიძლება დაიფაროს ტენვაუმტარი პოლიმერული, უპირატესად ღია ფერის მზის სხივების ამრეკლი აფსკებით.

ბეტონის და რკინაბეტონის სამუშაოების შესრულების დროს ყოველი პარტიის ბეტონიდან აუცილებელია საკონტროლო ნიმუშების აღება, მისი შემდგომი ლაბორატორიული გამოცდის მიზნით.

ბეტონისა და ხსნარის მიწოდება ეკოლოგიური მოსაზრებით მიღებულია საწარმოო ბაზე-ბიდან, რათა სელიტებურ ზონაში არ მოხდეს დამტვევრიანება.

ცალკეული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულება აუცილებელია საპროექტო დოკუ-მენტაციის შესაბამისობითა და მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესები დაცვით სათანადო ფარული აქტების გაფორმებით.

წარმოდგენილი მოპ-ით და მშენებლობის კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რითმით, ნაკადური მეთოდების გამოყენებით.

### სამშენებლო-სამონტაჟო შესრულება ზამთრის პერიოდში

#### **ა) ზოგადი დებულებები**

ზამთრის პერიოდად ითველება სამუშაოთა შესრულება იმ პერიოდში, როცა გარე ჰაერის საშუალო-დღეღამური ტემპერატურა ტოლია ან ნაკლებია 5°C-ზე, ხოლო მინიმალური დღეღამური ტემპერატურაა ტოლია ან ნაკლებია 0°C-ზე.

ზამთრის პერიოდში მშენებლობის წარმოების ძირითად მეთოდს წარმოადგენს კომ-პლექსური ნაკადური სისტემა. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია ადგილის



კარგად გაწმენდა თოვლისგან, რათა თავიდან ავიცილოთ თოვლის ნამქერის წარმოქმნა სამშენებლო ტექნიკის მუშაობის ზონაში.

### **ბ) მიწის სამუშაოები**

გაყინულ გრუნტში ტრანშეების და ქვაბულის მოწყოობის სამუშაოების პროცესში, საჭი-როა გრუნტის ზედა ფენების გაფხვიერება მათი შემდგომი დამუშავებით ექსკავატორით ან ხელით. ტრანშეების და ქვაბულების დამუშავების ტემპი უნდა იყოს ისეთი, რომ გამოირიცხოს მისი თოვლით დაფარვა ან მიწაყრილის და ქვაბულის ძირის მოყინვა.

### **გ) ბეტონისა და რკინაბეტონის სამუშაოები**

ზამთრის პირობებში ბეტონირებისათვის ბეტონის ნარევის დამზადება ხდება ცხელი ბეტონის დამამზადებელი დანადგარის საშუალებით გაცხელებული წყლის, ბეტონის შემავსებ-ლის და ყინვასაწინააღმდეგო დანამატების გამოყენებით, იმ ანგარიშით რომ დამზადებული ბეტონის ნარევის ტემპერატურა არ იყოს საანგარიშო ტემპერატურაზე ნაკლები.

ზამთრის პერიოდში ბეტონის ტრანსპორტირების დროს უნდა გამოირიცხოს ბეტონის ნარევის ტემპერატურის ვარდნა და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საანგარიშო ტემპერატურის შენარჩუნება.

ზედაპირის მდგომარეობა და ტემპერატურა, რომელზეც ეწყო ბეტონის ნარევი უნდა გამორიცხავდეს გაყინვის შესაძლებლობას ნარევის საფუძველთან პირაპირში. ბეტონის კონსტრუქციაში თერმოსის მეთოდით ან ბეტონის ნარევის წინასწარი გათბობით დაყოვნებისა და აგრეთვე ყინვასაწინააღმდეგო დანამატიანი ბეტონის გამოყენების დროს ნარევის ჩაწობა გაუმთბარ არანაბურც საფუძველზე ან სველ ბეტონზე დასაშვებია თუ გამოთვლის მიხედვით საკონტაქტო ზონაში ბეტონის დაყოვნების საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ მოხდება მისი გაყინვა.

ზამთრის პირობებში ბეტონის ნარევის ჩაწობა უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტად, ამასთან დაბეტონებაში შესვენების წარმოქმნის შემთხვევაში ბეტონის ზედაპირი უნდა დაიფაროს ან დაითბუნოს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში- გათბეს.

მასიური მონოლითური კონსტრუქციების შრედაშრე დაბეტონება ისე უნდა წარიმართოს, რომ ჩაწობილ შრეში მომდევნო შრით მის გადახურვამდე ბეტონის ტემპერატურა არ ეშვებოდეს ანგარიშით გათვალისწინებულზე დაბლა.

მონოლითური ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების არასაყალიბო ზედაპირები დაბეტონების დამთავრებისთანავე უნდა დაიფაროს ჰიდრო და თბოსაიზილაციო მასალებით.

როდესაც არ არის იმის შესაძლებლობა, რათა გამოყენებული იქნეს ბეტონები ყინვასაწინააღმდეგო დანამატებით, მაშინ პირაპირები უნდა დამონოლითდეს ელექტროგათბობით ან ინფრაწითელი სხივებით გათბარ ყალიბებში.

## მითითებები ამწე-მანქანა-მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების

### შესახებ

#### ა) ზოგადი მოთხოვნები

წარმოდგენილი მოპ-ით და მშენებლობის კალენდარული გეგმით გათვალისწინებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოება უწყვეტი რითმით, ნაკადური მეთოდების გამოყენებით, რომელიც გულისხმობს მანქანა-მექანიზმების საჭიროებისამებრ გადაადგილებას სამშენებლო მოედნის ცალკეულ უბნებზე.

სამშენებლო მოედანზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაცია უნდა უზრუნველყოფდეს შრომის ნაყოფიერ ზრდას და ხელით შრომის შემცირებას უფრო მეტად ეფექტური სამშენებლო მანქანებისა და მცირე მექანიზაციის საშუალებათა გამოყენების ხარჯზე.

სამშენებლო ობიექტზე ტვირთების გადაზიდვის ხერხების შერჩევა უნდა წარმოებდეს სამუშაოთა წარმოების პროექტის მიხედვით სამშენებლო მასალების, კონსტრუქციებისა და დეტალების გაგზავნისა და მიღების ადგილებში სატვირთა-გასატვირთავი ოპერაციების და მშენებლობაზე მათი საჭირო ვადებში მიწოდების გათვალისწინებით.

ბეტონის ჩაწობა ქარგილებში სასურველია ძირითადად განხორციელდეს ბეტონდამჭიხნი დანადგარების „პომპების“ გამოყენებით. „პომპის“ დგომაც და ბეტონის მიწოდება სამშენებლო მოედნის სხვადასხვა უბნებიდან უნდა განხორციელდეს. აუცილებლობის შემთხვევაში ბეტონის ჩაწობა შესაძლებელია აგრეთვე ბადიების საშუალებით.

ჩვენი მოსაზრებით ძირითადად სამუშაოების წარმოება უნდა მოხდეს მდინარე ყოროლისწყალის კალაპოტის მხრიდან, ამასთან რიგ შემთხვევებში, როცა პომპის ან ამწეს ისრის წვდენა საკმარისი არ არის ბეტონის მასის მისაწოდებლად ან ანაკრები ბლოკების დასა-მონტაჟებლად, ისინი შეიძლება განხორციელდეს ტერმინალის ტერიტორიიდან, რომლის დროსაც აუცილებელია პომპის ან ამწეს უზრუნველყოფა ნაპერწკლის გამოყოფის საწინააღმდეგო მოწყობილობით, რათა თავიდან აცილებული იქნეს სამშენებლო მოედნის მიმდებარედ არსებული ნავთობდამჭერის სახანძრო უსაფრთხოება.

#### **ბ) რეკომენდირებული სამშენებლო ამწე-მანქანა-მექანიზმები, სატრანსპორტო**

#### **საშუალებები და ინსტრუმენტები.**

მშენებლობის უწყვეტი რითმის და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. სამუშაოების მოცულობების და ხასიათის გათვალისწინებით რეკომენდირებულია ცხრილში მოცემული ტექნიკური საშუალებები.



№	დასახელება	მარკა	რაოდენობა -ცალი-	შენიშვნა
1	ერთნაშვიანი ექსკავატორი შექცეული ნიხბით პნევ- მოსვლაზე ჩამჩის ტევადობით 1.0 კუბ.მ	მშენებელის შეხედულება სამეგრ	1	მიწის სამუშაოები
2	ავტოთვიმცლელი	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	გრუნტის გატანა ინერტული მასალების შემოზიდვა
3	ძარიანი ავტომანქანა	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	არმატურის ტრანსპორტირება
4	ავტობეტონმრევი	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ბეტონის ტრანსპორტირება
5	ავტობეტონტუმბო	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ბეტონის მიწოდება
6	სიდრმითი ვიბრატორი	მშენებელის შეხედულება სამეგრ	2	ბეტონის სამუშაოები
7	ავტოამწე ტვირთამწეობით 25 ტ.	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ანაკრები ბეტონის ბლოკების დემონტაჟი და მონტაჟი
8	ავტოგრეიდერი 79 კვტ (108 ცხ.დ)	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ღროებითი გზის მოწყობის სამუშაოები
9	ბულდოზერი 79 კვტ (108 ცხ.დ)	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ღროებითი მიწაყრილის მოწყობა
10	ტრაქტორი მუხლუხა სვლაზე 79 კვტ (108 ცხ.დ)	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ღროებითი მიწაყრილის მოწყობა
11	ელექტროტუმბო წარმადობით 120 კუბ.მ/სთ	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	წყლის ამოქაჩვის სამუშაოები
12	სატკეპნი 10 ტ	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ღროებითი გზის მოწყობა
13	სატკეპნი 16 ტ	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ღროებითი გზის მოწყობა
14	საწყავი მანქანა 6000 ლ	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ღროებითი გზის მოწყობა
15	ღუღაბის ტუმბო წარმადობით 1.0 კუბ.მ/სთ	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	ბეტონის ღობის ბათქაში
16	სხვადასხვა დანიშნულების ელექტრო პნევმატური ინ- სტრუმენტები და სამარჯვეები: სანგრევი ჩაქუჩი; სატეხი; ხერ-ხი; რანდი; ბურღი ნიჩაბი და სხვა	მშენებელის შეხედულება სამეგრ	მოთხოვნის შესაბამისად.	სამშენებლო და სპეც. სამონტაჟო სამუშაოებისათვის

**შენიშვნა:** ცხრილში მოყვანილია საბაზო მოდულების მარკა. სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავების პერიოდში სამშენებლო ორგანიზაციამ მექანიზაციის

ტექნიკური ბაზის მონაცემების გათვალისწინებით და სამუშაოთა ხასიათიდან გამომდინარე უნდა შეარჩიოს ანალოგიური ან უფრო თანამედროვე ტიპის ტექნიკური საშუალებები.

#### **გ) სამშენებლო მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია**

1. მანქანა-მექანიზმების ექსპლუატაცია და ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს მწარმოებლის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.
2. მანქანა-მექანიზმების მუშაობის ზონაში უნდა განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები.
3. სამშენებლო მოედანზე მანქანა-მექანიზმების განლაგების ადგილი განისაზღვრება პროექტით. ელექტროამძრავიანი მექანიზმების ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს დადგენილი წესების შესაბამისად.
4. ელექტროამძრავიანი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური მომსახურების დროს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ძაბვის უკონტროლო ჩართვის ასაცილებლად.

#### **დ) ტექნიკური აღჭურვილობისა და ინსტრუმენტის ექსპლუატაცია**

1. მშენებლობის დროს გამოყენებული ყველა ტექნიკური აღჭურვილობა და ინსტრუმენტი უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში, მათი ექსპლუატაცია უნდა ხდებოდეს მწარმოებლის მიერ განსაზღვრული წესით.
2. ტექნიკური აღჭურვილობის და ინსტრუმენტის ექსპლუატაციისას დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) წესით დამზადებული დეტალის, ან სათადარიგო ნაწილების გამოყენება.
3. დისკოიანი სამშენებლო ინსტრუმენტები უნდა იყოს აღჭურვილი დამცავი ფარით.

#### **მშენებლობის ხარისხის და ხმაურის კონტროლი**

##### **ა) ზოგადი დებულებები**

შენობებისა და ნაგებობების მაღალი ხარისხი და საიმედოობა სამშენებლო ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო პროდუქციის შექმნის ყველა სტადიაზე ეფექტური კონტროლის განხორციელების გზით.

სამუშაოების წარმოებისას და აშენებული ნაგებობების მიღებისას შესრულებული სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს СНиП 3.01.01- 85 –ის მოთხოვნებს.

სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების ხარისხის კონტროლი უნდა განა-ხორციელოს სპეციალურმა სამსახურებმა, რომლებიც იქმნება სამშენებლო ორგანიზაციებში და აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ აუცილებელ სიზუსტეს, უტყუარობას და სრულ კონტროლს. მშენებლობის ხარისხის კონტროლი ასევე ხდება სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის საწარმოო კონტროლი უნდა შეიცავდეს საპროექტო დოკუმენტაციის, კონსტრუქციების, ნაწარმის, მასალების და დანადგარ-მოწყობილობების მიღების კონტროლს და მათი მონტაჟის კონტროლს, ნატურაში გეოდეზიური დაკვადვის სამუშაოების მიღებას:



მშენებლობის ხარისხის კონტროლი ითვალისწინებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შემოსვლის, ოპერაციულ და მისაღებ, ინსპექციურ და გეოდეზიურ კონტროლს.

#### **ბ) შემოსვლის კონტროლი**

მშენებლობის დაწყებამდე და პროცესში, მასალების და დანადგარების შემავალ კონტროლს უნდა აწარმოებდეს შემსრულებელი, უშუალოდ დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ და აუცილებლობის შემთხვევაში, დამპროექტებლის სააგტორო და ექსპლუატაციის გამწევი ორგანიზაციების ზედამხედველობის ქვეშ.

შემსრულებლის მიერ მშენებლობისთვის საჭირო მასალების და დანადგარ-მოწყობილობების შემავალი კონტროლის განხორციელებლად, შემსრულებელმა უნდა მოახდინოს ყველა, პროექტით გათვალისწინებული, მონტაჟისთვის და სხვა სამუშაოებისთვის საჭირო შემოსული მასალების, ნაწარმის და მოწყობილობის მიღება, გადარჩევა და დამოწმება.

შემოსვლის კონტროლის დროს გარედან დათვალირებით უნდა შემოწმდეს მათი შესაბამისობა სტანდარტების ან სხვა ნორმატიული დოკუმენტების და მუშა-დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პასპორტების, სერტიფიკატებისა და სხვა თანმხლები არსებობა და შინა-არსი.

#### **გ) ოპერაციული და მისაღები კონტროლი**

ოპერაციული კონტროლი უნდა განხორციელდეს, როგორც საწარმოო ოპერაციების შესრულებისას, ისე დასრულების შემდეგაც, რათა დროულად მოხდეს დეფექტების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად ზომების მიღება.

ოპერაციული კონტროლისას, საჭიროა მოხდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ტექნოლოგიის დაცვის გაკონტროლება, შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა საპროექტო დოკუმენტაციასთან. ოპერაციული კონტროლისას საჭიროა შესაბამისი სამშენებლო, ტექნო-ლო-გიური სქემების და ოპერაციული კონტროლის სქემების ნორმატიული დოკუმენტებით ხელმძღვანელობა.

ოპერაციული კონტროლის შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს სამუშაოთა წამროების ჟურნალში.

შესრულებული სამუშაოების მისაღები კონტროლისას, აუცილებელია მოხდეს სამშენებლო-სამონტაჟო, მოპირკეთების და სპეცსამონტაჟო სამუშაოების და ასევე პასუხისმგებელი კონსტრუქციების ხარისხის შემოწმება და ხარისხი შეფასება, შესაბამის სამუშაოებზე სამშენებლო ნორმებისა წესების მოთხოვნებისა და დასაშვები გადახრების გათვალისწინებით.

#### **დ) ინსპექციური კონტროლი**

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ინსპექციური კონტროლი უნდა განხორციელდეს სამშენებლო ორგანიზაციების მიერ, რომელიც უნდა შეიცავდეს

ღონისძიებებს, მეთოდებს და საშუალებებს, რომლებიც მიმართულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის და დას-რულებული ობიექტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად საპროექტო დოკუმენტაციასთან.

ინსპექციური კონტროლი ხორციელდება სპეციალური სამსახურების მეშვეობით, თუ ასეთები არსებობენ სამშენებლო ორგანიზაციის შემადგენლობაში, ან სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისიების ან ცალკეული სპეციალისტების მიერ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხარისხის საწარმოო და ინსპექციური კონტროლის შედეგების თანახმად, უნდა შემუშავდეს ღონისძიებები, გამოვლენილი დეფექტების აღმოსაფ-ხვრელად, ამასთან უნდა იყოს გათვალისწინებული საპროექტო ორგანიზაციის სააგტორო ზედამხედველობის, დამკვეთის ტექნიკური ზედამხედველობის და სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების კონტროლის მოთხოვნები.

მშენებლობის ყველა სტადიაზე, ადრე წარმოებული საწარმოო კონტროლის ეფექტურობის შემოწმების მიზნით, უნდა მოხდეს არჩევითი ინსპექციური კონტროლი.

#### **ე) მშენებლობის გეოდეზიური (ინსტრუმენტალური) კონტროლი**

მშენებლობის გეოდეზიური (ინსტრუმენტალური) კონტროლი უნდა მიმდინარეობდეს სნ და წ 3.01.03-84 „გეოდეზიური სამუშაოები მშენებლობაში“-ს საფუძველზე.

სამშენებლო მოედანზე გეოდეზიური სამუშაოები წარმოადგენს სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიურ პროცესის განუყოფელ ნაწილს და უნდა განხორციელდეს აღებული სამშენებლო მოედნისათვის ერთიანი გრაფიკის მიხედვით, რომელიც უნდა ეთანადებოდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ვადებს.

სამშენებლო მოედანზე შესასრულებელი გეოდეზიური სამუშაოების შემადგენლობაში შედის:

- მშენებლობისათვის გეოდეზიური დაკვაღვითი საფუძველის შექმნა;
- შენობა-ნაგებობის გეომეტრიული პარამეტრების სიზუსტის გეოდეზიური კონტროლი;
- შენობა-ნაგებობების საფუძვლების, კონსტრუქციების და მათი ნაწილების დეფორმაციის გეოდეზიური გაზომვები.

მშენებლობის გეოდეზიური კონტროლი ხორციელდება ნიველირისა და თეოდოლიტის გამოყენებით. შემოწმების შედეგები უნდა აისახოს გეოდეზიური კონტროლის ჟურნალში.

გეოდეზიური კონტროლის დროს მოწმდება:

–შენობის ელემენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.

–შენობის ელემენტებისა და ცალკეული კონსტრუქციების შესაბამისობა პროექტთან მათი მოწყობის პროცესში.

#### **ვ) ხმაურის კონტროლი**

სამშენებლო სამუშაოები შეძლებისდაგვარად უზმაუროდ უნდა მიმდინარეობდეს, ამისთვის გასათვალისწინებელია:

–უნდა აიკრძალოს ტექნიკურად გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებებითა და სამშენებლო ტექნიკით სარგებლობა;

–ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სამშენებლო ტექნიკის მაღალხარისხოვანი საწვავით (ბენზინი, დიზელი) უზრუნველყოფა;

–სამშენებლო ტექნიკის და ძრავიანი მანქანების ხმის ჩამხშობი მექანიზმით აღჭურვა;

–გარემოს სიმშვიდის დამრღვევი ხმაურის ჩამხშობი ფილტრების და ბარიერების, აკუსტიკური ფარდების გამოყენება;

#### **მითითებები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.**

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროა შემდეგი დოკუმენტებით ხელმძღვანელობა:

–საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის №449 ბრძანება „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესის შესახებ“.

- ГОСТ 12.1.004-91 „სახანძრო უსაფრთხოება. ზოგადი მოთხოვნები“;

- «სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას» - «ტიპური ინსტრუქცია ფეთქებადხანძარსაშიშ ობიექტებზე საცეცხლე სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებისათვის»

- «ტიპური დებულება ინსტრუქტაჟზე, სპეციალურ სწავლებასა და საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში სახანძრო უსაფრთხოების ცოდნის შემოწმებაზე“.

ასევე სხვა, დადგენილი წესით დამტკიცებული რეგიონალური, სამშენებლო ნორმებით და წესებით, ნორმატიული დოკუმენტებით, რომლებიც ახდენენ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა რეგლამენტირებას.

დამკვეთი პასუხისმგებელია სახანძრო უსაფრთხოებაზე სამუშაო უბნებზე მუშაობისას.

დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების არსებობა ად-გილზე, ხოლო მისმა მუშახელმა უნდა იცოდეს მათი გამოყენების წესები.

მშენებლობისას, სახანძრო უსაფრთხოების ორგანიზების და უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება სამშენებლო საწარმოს ხელმძღვანელს,



რომელიც სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნათა შესრულებასთან ერთად ვაღდებულება:

- უზრუნველყოს მუშათა მიერ სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების და წესების დაცვა და არ დაუშვას სამუშაოზე ის პირები, რომელთაც არ გაუვლიათ ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი და ვერ ჩააბარეს სახანძრო-ტექნიკური პროგრამის მინიმუმი;

- უზრუნველყოს დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი ობიექტის ტერიტორიაზე, უზრუნველყოს სამონტაჟო სამუშაოების წარმოების სრული წესრიგი, სამუშაოების დასრულების შემდეგ შენობების დათვალიერება და დახურვა.

- უზრუნველყოს ობიექტზე არსებული ხანძრის ქრობის სისტემების მუშაობის და კავშირგაბმულობის საშუალებების მუდმივი მზადყოფნა;

- ხანძრის ან ავარიული შემთხვევისას მისი გაჩენის საშიშროების შემთხვევაში, უზრუნველყოს სახანძრო ქვედანაყოფების დაუყოვნებლივი გამოძახება; იმავდროულად შეუდგეს ხანძრის ან ავარიის ლიკვიდაციას ხელთ არსებული საშუალებებით და ძალებით.

- დაუყოვნებლივ აცნობოს სახანძრო დაცვის ქვედანაყოფს გზების და გასასვლელების დაკეცვის შესახებ მათი რემონტისა ან სხვა მიზეზების გამო, რაც ხელს უშლის სახანძრო ავტომანქანების გადაადგილებას. გზების დაკეცვის პერიოდში უნდა იყოს დაყენებული ნიშნები, სადაც ნაჩვენებია შემოვლითი გზის მიმართულება.

ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, იმ პირებმა, რომლებიც უფლებამოსილი არიან იქონიონ, გამოიყენონ ან განკარგონ ქონება, ორგანიზაციის თანამდებობრივი პირები ან ხელმძღვანელები, რომლებიც დადგენილი წესით დანიშნულნი არიან პასუხისმგებლად სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხანძრის ადგილზე მოსვლისას უნდა:

- შეატყობინონ სახანძრო დაცვას ხანძრის გაჩენის შესახებ, საქმის კურსში ჩააყენონ ობიექტის ხელმძღვანელობა და მორიგე სამსახურები;

- თუ ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მოახდინონ მათი გადარჩენის ორგანიზება, ამისთვის არსებული ძალების და საშუალებების გამოყენებით.

- შემოწმდეს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების (ხალხის შეტყობინების ხანძრის შესახებ, ხანძრის ქრობის, კვამლსაწინააღმდეგო დაცვის) მუშაობა.

- აუცილებლობის შემთხვევაში გამოირთოს ელექტროენერგია (ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების გამოკლებით), გაჩერდეს იმ მოწყობილობების, ავრევატების და აპარატების მუშაობა, რომლებიც ტრანსპორტირებას უზრუნველყოფენ, გადაიკეტოს ნედლეულის, გაზის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციები, გაჩერდეს სავენტილაციო სისტემის მუშაობა ავარიულ

და მო-მიჯნავე შენობებში, ჩატარდეს შენობა-ნაგებობებში სხვა ხანძრის და დაკავამღვის აღკვეთის ხე-ღის შემწყობი ღონისძიებები.

- შეწყდეს ყველა სამუშაოები, გარდა იმისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ღიკვი-დაციასთან;

- მოხდეს ყველა თანამშრომლის გაყვანა საშიში ზონის მიღმა, რომლებიც არ მონა-წილოებენ ხანძრის ქრობაში;

- ხანძრის ქრობა განხორციელდეს საერთო ხელმძღვანელობის ქვეშ (ობიექტის სპეცი-ფიკური თავისებურებების გათვალისწინებით) სახანძრო ქვედანაყოფის მოსვლამდე;

- ხანძრის ქრობაში მონაწილე თანამშრომლების მიერ უზრუნველყოფილ იქნას უსაფრ-თხოების მოთხოვნათა შესრულება;

- ხანძრის ქრობის პარალელულად, მოხდეს მატერიალური ფასეულობების ევაკუაციის და დაცვის ორგანიზება;

- სახანძრო დაცვის ქვედანაყოფების შეხვედრის ორგანიზება და დახმარება ხანძრის კე-რამდე მისასვლელი უმოკლესი გზის ასარჩევად;

- პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ხანძრის ქრობაში და ამასთან დაკავშირებული პირველადი საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე ქვედანაყოფებს ეცნობოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საშიში (ფეთქებადსაშიში) ფეთქებადი, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების გადამუშავება ან შენახვა ხდება ობიექტზე.

პასუხისმგებლობა დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვისთვის ყოველ სამუშაო ადგილზე, ეკისრებათ უშუალოდ სამუშაოს შემსრულებლებს.

აუცილებელია სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.

შენობებში, ფარდულის ქვეშ და შენახვის ღია მოედნებზე აკრძალულია:

- სატრანსპორტო საშუალებების დაყენება ნორმას გადაჭარბებული რაოდენობით, მათი განლაგების გეგმის დარღვევა, ავტომანქანებს შორის მანძილის შემცირება;

- შემოსასვლელი ჭიშკრის ან გასასვლელების ჩახერგვა;

- სატრანსპორტო საშუალების გაჩერება საწვავის ბაკებით გახსნილ მღვომარეობაში, ასევე თუ ჟონავს საწვავი და ზეთი;

- სატრანსპორტო საშუალებების შევსება საწვავით და მათგან საწვავის ჩამოცლა.

- საწვავის ტარის და საწვავის ან ზეთის შენახვა.

- აკუმულატორების დამუხტვა უშუალოდ სატრანსპორტო საშუალებებზე;

- ძრავის გაცხელება ღია ცეცხლით, (კოცონი, ჩირაღდანი, სარჩილაკი ნათურები) განათების ღია წყაროს გამოყენება;

ყველა (მათ შორის დროებით) შენობასთან, სამშენებლო მასალების ღია ადგილებთან, კონსტრუქციებთან და დანადგარებთან თავისუფლად მისვლის უზრუნველყოფა.

სახანძრო უსაფრთხოების საშუალებების განლაგების (შენახვის) და მოწვეისთვის სპეციალურად აღჭურვილი ადგილები უნდა იყოს აღნიშნული სახანძრო უსაფრთხოების ნიშნებით “არ ჩახერგოთ”.

საწყობებში (შენობებში) ნივთიერებების და მასალების შენახვა აუცილებელია მათი ხანძარსაშიში ფიზიკურ-ქიმიური თვისებების (ამჟავების, თვითგაცხელებისა და აალებისადმი მიდრეკილება ნესტის მოხვედრისას, ჰაერთან შეხებისას და მისთ.) მათი ხანძარსაქრობ საშუალებებთან შეთავსებადობის და ერთგვაროვნობის ნიშანთვისებების გათვალისწინებით.

ტანსაცმლის და ფეხსაცმლის გაშრობა უნდა ხდებოდეს სპეციალურად ამ მიზნისთვის განკუთვნილ შენობა-ნაგებობებში ცენტრალური წყლის გათბობის სისტემით ან წყლის კოლორიფერების გამოყენებით.

სამშენებლო მოედანზე უნდა იყოს ინსტრუქცია “სახანძრო უსაფრთხოების ზომების შე-სახებ”, შესაძლო ავარიების ლიკვიდაციის გეგმა და ხანძრის ქრობის გეგმა, სამუშაოების ჩატარების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

სამშენებლო მოედანი ყოველთვის სუფთა მდგომარეობაში უნდა იყოს. სამშენებლო ნარჩენები ყოველდღიურად უნდა იქნას გატანილი სამუშაოთა წარმოების ადგილებიდან და სამშენებლო ტერიტორიიდან ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოწვევა აკრძალულია საწვავი ნივთიერებების შენახვის და გამოყენების ადგილებში და ასევე დროებით ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობებში.

მშენებლობის ტერიტორიაზე მოწვევა, შენობა-ნაგებობების ჩათვლით ნებადართულია მხოლოდ ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომელთაც აქვთ წარწერა: “მოწვევის ადგილი”, რომლებიც აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, ურნებით, ქვიშიანი ყუთებით და წყლით სავსე კასრებით.

მშენებარე ობიექტზე უნდა იყოს კავშირგაბმულობის საშუალებები სახანძრო ნაწილების გამოსაძახებლად. მშენებლობის ტერიტორიაზე კავშირგაბმულობის საშუალებებთან ხელმი-საწვდომობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი დღის ნებისმიერ დროს. ტელეფონთან (რადიო-სადგურთან) ახლოს აუცილებელია განთავსდეს ცხრილი, სადაც მოცემულია სახანძრო დაცვის გამოძახების წესები, ხანძრის დროს საჭირო მოქმედებების მინიშნება, ხანძრის ჩასაქრობად საჭირო ძალების და საშუალებების გამოყენების წესი. მშენებლობის ტერიტორიაზე და შენობებში



გამოსახენ ადგილებში უნდა იყოს გამოფენილი ცხრილები, სადაც მითითებულია უახ-ლოესი კავშირგაბმულობის საშუალებების ადგილმდებარეობა.

სამუშაოების წარმოების დაწყების წინ მშენებლობის ტერიტორია გასასვლელებით უნდა იყოს შეერთებული საერთო სარგებლობის გზებთან. გზები აგრეთვე მოწყობილი უნდა იყოს უშუალოდ სამშენებლო მოედანზე ან გათვალისწინებული უნდა იქნას თავისუფალი ზონები რომ-ლებიც უნდა ვარგოდნენ სახანძრო ავტომობილების გასატარებლად. გზები არ უნდა ჩაიხერგოს მასალებით და მოწყობილობით, ღამით გზები და გასასვლელები განათებული უნდა იყოს კარგად.

სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას გზების გასასვლელებისა და მისასვლელების დროებით ჩაკეტვის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედ-ველობის ადგილობრივ ორგანოებს ან უახლოეს სახანძრო ნაწილს.

ჩამოთვლილი ღონისძიებები ექვემდებარება დაკონკრეტებას და დამატებებს სამუშაოთა წარმოების პროექტის დამუშავებისას.

#### **მითითებები ბუნების დაცვისა და ჰაერის დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებებზე.**

სამშენებლო მოედანზე წარმოების პროცესში აუცილებელია გარემომცველი ბუნებრივი გარემოს დაცვის ღონისძიებებისა და სამუშაოების განხორციელება ბუნებისდაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისობით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების პერიოდში საპროექტო გადაწყვეტი-ლებების სავალდებულოდ შესასრულებელი ღონისძიებების: ნიადაგის, წყალსაცავების, ფლორის და ფაუნის შენარჩუნების გარდა, გარემოს დაცვა ავალდებულებს სამშენებლო ორგანიზაციებს, განახორციელონ რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვაზე, მასზე მინიმ-ალური ზიანის მიყენებით.

გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი:

- სნ და წ. 3.01.01–85 (“გარემოს დაცვა” თავი 10)-ში მოყვანილი ყველა მოთხოვნების მკაცრი დაცვა;

- მშენებლობის დაწყებამდე არსებული და მშენებლობისას პოტენციურად მიღწევადი გარემოს დაცვის დაბინძურების ღონის შენარჩუნების საშუალება, რომელიც არ აღემატება ფონურ მდგომარეობას;

- საშიში ბუნებრივი პროცესების ლოკალიზება და აქტივობის შემცირება.

სამშენებლო მოედანზე წარმოქმნილი საწარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამოღენები უნდა იწმინდებოდეს და გაუვნებელდეს.

დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ქსეებში ბეტონ და ხსნარ-მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

სამშენებლო მოედანზე აკრძალულია ბეტონის ნარევის დამზადება.

ღრობითი საკვანძეები უნდა ჩაირთოს არსებულ კანალიზაციის ქსელში სათანადო ორგანოების ნებართვის შემდეგ.

გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე დაუშვებელია მშენებლობის ზონაში მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

სამშენებლო მოედნიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოსვლის წინ საჭიროებს მათი საბურავების გარეცხვას, რათა ადგილი არ ქონდეს ქუჩების დაბინძურებას.

სამუშაოთა წარმოების პროექტში საჭიროა გარემოსდაცვითი ღონისძიებების დაკონკრეტება, დამატებების შეტანა და დაზუსტება.

### **მითითებები უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.**

სამშენებლო ორგანიზაციამ სამშენებლო მოედანზე უბანზე და ცალკეულ სამუშაო ადგილზე უნდა უზრუნველყოს მომუშავეთა შრომის უსაფრთხოება საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №62 დადგენილების „მშენებლობის უსაფრთხოების წესების შესახებ“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მითითების თანახმად.

სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი უნდა იყოს პასუხისმგებელი ინჟინერი, რომელიც პასუხს აგებს უსაფრთხოების წესის დაცვაზე.

სამუშაოთა წარმოების დაწყებამდე, სავალდებულოა ყველა მომუშავემ გაიაროს საწარმოო უსაფრთხოების და შრომის დაცვის ინსტრუქტაჟი.

სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ვალდებულია უზრუნველყოს მუშათა უზრუნველყოფა სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

მშენებლობის ყველა ობიექტზე უნდა იყოს პირველი სამედიცინო დახმარების გასაწევი საშუალებები.

ერთ ვერტიკალზე სამუშაოთა შეთავსების შემთხვევაში ქვემოთ განლაგებული სამუშაო ადგილები დაცული უნდა იქნეს სათანადო დამცავი საშუალებებით (ფენილი, ბადე, საფარი).

სამუშაოთა დაწყების წინ იმ ადგილებში, სადაც არსებობს ან შეიძლება წარმოიქმნეს სა-წარმოო საშიშროება სამუშაოების პასუხისმგებელმა შემსრულებელს აუცილებლად უნდა გადასცეს განწესი-დაშვება არსებული ფორმის მიხედვით.

მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები სამუშაოების შესასრულებლად არ დაიშვებიან დამცავი ჩაჩქანების და ინდივიდუალური დაცვის სხვა აუცილებელი საშუალებების გარეშე.

სამშენებლო მოედნის ორგანიზაციის, სამუშაოების უბნების, სამუშაო ადგილების, სამშენებლო მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების და ადამიანების გასასვლელების განლაგების დროს, საჭიროა დადგინდეს ადამიანებისთვის სახიფათო ზონები, რომელთა ფარგლებში პოტენციურად მოქმედებს ან შეიძლება მოქმედებდეს საშიში ფაქტორები. სახიფათო ზონები აღნიშნული უნდა იყოს უსაფრთხოების ნიშნებით და დადგენილი ფორმის წარწერებით.

მუდმიტმოქმედ საშიშ საწარმოო ფაქტორების ზონებს მიეკუთვნება:

- ელექტროდანადგარების არაიზოლირებული დენმტარი ნაწილებიდან ახლომდებარე;

- 1,3 მეტრი სიმაღლის და მეტი ახლომდებარე შეუღობავი ვარდნილობები;

- მანქანა-მოწყობილობების ან მათი ნაწილების და მუშა ორგანოების გადაადგილების ადგილები;

– ადგილები, სადაც ინახება ზღრუღად დასაშვებზე მეტად კონცენტრირებული მავნე ნივთი-ერებები ან მოქმედების ინტერსიურობით ზღრუღად დასაშვებზე მაღალი ხმაური;

პოტენციურად მოქმედი საშიში საწარმოო ფაქტორების ზონებს მიეკუთვნება მშენებარე ნაგებობების ახლო ტერიტორიის უბნები; შენობებისა და ნაგებობების სართულები ერთ პირმო-დებაში, რომელთა თავზეც მიმდინარეობს კონსტრუქციების ან დანადგარების მონტაჟი.

მუდმივმოქმედი საშიში საწარმოო ფაქტორების ზონები უნდა შემოიღობოს დამცავი ღობეებით, ხოლო პოტენციურად მოქმედი საშიში საწარმოო ფაქტორების ზონები კი სასიგნალო ღობეებით სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნულ საშიშ ზონებში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს უნდა განხორციელდეს მომუშავეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფი საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებები.

გასასვლელები და სამუშაო ადგილები რეგულალურად უნდა სუფთავდებოდეს და არ უნდა გადაიტვიროს.

სამშენებლო მოედანი, სამუშაოთა უბნები, სამუშაო ადგილები, გასასვლელები და მათთან მისასვლელები დღე-ღამის ბნელ პერიოდში განათებული უნდა იყოს სათანადო წესის შესაბამისად. განათებულობა უნდა იყოს თანაბარზომიერი და მომუშავეებზე დამაბრმაველად არ უნდა მოქმედებდეს. გაუნათებელ ადგილებში სამუშაოების წარმოება დაუშვებელია.



სამუშაოების წარმოების მასლობელ ადგილებში ავტორანსპორტის მოძრაობის სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 10კმ/სთ სწორ უბნებზე და მოსახვევებში 5კმ/სთ.

ყველა ელექტროძრავიანი მექანიზმები და მანქანები უნდა იქნას საიმედოდ დამიწებული. დროებითი ელექტროქსელების და ელექტრომოწყობილობებთან დაყენება უნდა შეესაბამებოდეს 12.1.013-88 სახსტანდარტს. ძაბვა გადასატან ქსელებში არ უნდა აღემატებოდეს 36 ვოლტს მშრალ და 12 ვოლტს სველ ადგილებისათვის. ელექტროკარდა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში. ელექტროსადენები უნდა იყოს იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

ბეტონდამჭიხნი მექანიზმებისა და სხვა ტვირთაძე მანქანების მუშაობის პერიოდში იკრძალება სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა და უცხო პირთა სამშენებლო მოედანზე და განსაკუთრებით მათი მოქმედების საშიში ზონების არეალში ყოფნა.

შეადგინა:

